იაპონიის მთავრობის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში ტერიტორიის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდის პროექტის საზეიმო დასრულების ცერემონია

15 დეკემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის სიახლოვეს გაიმართა გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში ტერიტორიის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდის პროექტის საზეიმო დასრულების ცერემონია. აღნიშნული პროექტი დაფინანსდა იაპონიის მთავრობის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. ეს პროექტი წარმოადგენს ფეთქებადი ნარჩენებისგან უდაბნოს ყოფილი სამხედრო პოლიგონის წმენდის მეორე ეტაპს. საერთო ჯამში გაწმენდილი ტერიტორიის ფართობმა შეადგინა 61 კმ^2, რომელიც გაიწმინდა ფეთქებადი ნარჩენებისგან და გამოცხადდა უსაფრთხოდ. ცერემონიას დაესწრნენ საქართველოში იაპონიის ელჩის მოადგილე, ბ-ნი ტომონორი ჰასეგავა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე, ბ-ნი ნიკოლას ბერლინერი, საქართველოს მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ზემოხსენებული პროექტის განმახორციელებელია საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაცია ჰალო ტრასტი. პროექტის განხორციელების შედეგად უდაბნოს სამხედრო პოლიგონის მახლობლად 3 სოფელში მცხოვრები 5 ათასზე მეტი ადამიანის უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი. ახლა ეს ტერიტორია უკვე უსაფრთხოა ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ისევე როგორც აქ ჩამუსული ტურისტებისა თუ მომლოცველებითვის. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 715 534 ა.შ.შ. დოლარია.